

კვირის პალიტრა



N2 (240) 13/I.-19/I. 2005 გვარი 60 0.

საქართველოს –
ცახალის მაქარონი
ცეკვების მიზანი
გადასახადი

13

1168
2005

სასიძო – „რამდენიმე წლით უფროსს რა უშირს?..“

ლენა ელიაშვილის

დებევთივი: რა კავშირი აქვს
ეკრანინელ ვიკა მარტინიძეს
მოსე კრიხელის იდუმალ
მკვლელობასთან...



ინგა გრიგოლია:
„ჰატრულის ბრძანის,
ახლა გაღაერელი
მანეანით რომ
დავდივარ...“

თაღლითები – „თოვლის გაუვასის“ საახალწლო „საჩუქრები“



საზია გამარჯვე:
„დავიღალა ჰიზების
ცენავლავით...“ ანუ როგორი
უდია იყოს მარი





ეთეუზისატები –
რჩქ კაპურის ავარა
თბილისის ქარიშვილი

იყიდეთ ერთსალ, იყიდეთ მთალი ცენტ

„კულტურული კურორტისამ“
გაძინებული ხელის კულტურული გადაწყვეტილების ცენტრი

არ გამოგრჩეთ!



კალენდრის ბითუმად შეძენის მსურველებმა
დარეკეთ 36-35-75, 899-10-66-54



№2 (240)
13 – 19 იანვარი 2005
ფასი 60 თაორი

მინიატურები

| | |
|---|----------|
| გამორიცხული შანულები! ანუ | |
| 21-ი საუკუნის „პეპარაჩები“ | 3 |
| ზრდი მოწყლილი | 4, 5, 14 |
| დადაგიანი | |
| „აგილის მიწისძვრა ჩვენება სისისოცენტრების მომსლარილან | |
| 10 წლ-ში დააფიქსირეს, | |
| თუმცა სატრაპასოდ | |
| საჭრე არ გვაქვს...“ | 4 |
| კადაგიანი | |
| „მორიცხა უყარა, გახო, ამ კვეყანას ჰქონიანი და დალაგებაული გონიერი!..“ | 7 |
| თვალსაზრისი | |
| „აროვესიონები მარტო ის არ არის, ვისაც უცხოეთის უნივერსიტეტის ღიალომი აქვს“ | 8 |
| კადრს მიღეა | |
| „ვიღაცამ დაგიმიახა – ჩქარა წამოღით, დაჭრილიაო!“ – ანუ ის, რაც გადაცემაში არ მოხვდა | 10 |
| თაღლითები | |
| „თოვლის ბაბუაზი“ და მათი მოულოდები „საჩუქრები“ | 13 |
| კრიმინალი | |
| • ტრაგედია სახელმწიფო საგლორის დაცის ჯარში | 15 |
| • დღესასწაული შვილება დედა მოგეხდა | 16 |
| • მოვალეობა მარათევალს მცირებლოვანი ღაბის წყალობით სასხლები ვეუმიტოვს | 17 |
| • კაცმა 75 წლის მაგრძელი ქალის გაუკაციურება სცადა | 17 |
| კაცილენარესაციი | |
| ინფორმაციულ-მუხლეობითი კოლაჟი გოჩა დვალის უაის წიგნაკიდან | 18 |
| გეორგია | |
| გამოუსწორებაული მეოცენები... ანუ როდეოება მსახიობი ბერძინი | 18 |
| ეადვილი კაპაცი | |
| გაეაღინირებაული შინაგარას რჩევები მათთვის, ვისაც გათხოვება სერს!.. | 21 |
| რეაცია | |
| SOS! გამათხოვეთ! | 22 |
| ცსერი | |
| „ქალი ვარ თუ კაცი?.. დედამ კომოსის სალიგისავან მიბიძგა“ | 26 |
| ტესტი | |
| ერთგული მაითხველი | 27 |
| გეორგია | |
| „ვინატრებდი გახარებული კართული სახეების დანახვას...“ | 28 |

„აზის მიწისძვრა ჩვენება სისისოცენტრებში
მოხდებია 10 წთ-ში დასავისირმე, მუშავა
საქმე სატრაპასოდ არ გვაქვს...“



„თბილისში ორი სეისმური
სადგური მუშაობს, რომელთაგან
ერთ-ერთი სამების გამარშია და-
მონგაეებული, რადგან ეს ტაბ-
არი საკმაოდ ახლოს მდებარე-
ობს 2002 წელს მომხდარი მი-
წისძვრის ეპიცენტრთან.“

4

„30 დანა დაკვირვება – ჩქარა წამოდით,
დაჭრილია!“

„ერთ სერიოზულ ინციდენ-
ტშიც მოგვიხდა მონაწილეობა.
ვიღაცამ დაგვიძახა – ჩქარა წა-
მოდით, დაჭრილია! ხომ არ
ვეტოდი – მომდერალი ვარ და
ვერ წამოვალ-მეთქი!.. გავყევით.
თურმე, ვიდაცას იარაღი გავარ-
დნია და სისხლისგან იცლებო-
და...“



10

ქართული სიმღერის უცხოელ
მომღერალია გუნდის მაკავი



36

ქარლ ლინიქი ქართული მრავალ-
ხმიანი სიმღერის ამერიკელი შემ-
სრულებელია. მან 130 ქართული სიმ-
ღერა იყოს, თანაც – თითოველი მათ-
განის სამივე ხმა აქვს ათვისებული.
ქარლი ნიუ-იორკიდან საქართველო-
ში სწორედ სიმღერის სიყვარულმა
ჩამოიყვანა. ასლა მას ქართველი
ცოლი და 2 ვაჟიმვილი პყავს...“

რაჯ კაკამრის ავარე თბილისის
ქანები...“

დღემდე მეგონა, რომ ინდური
ფილმის გმირები ზიგა და გიგა
მხოლოდ ჩემს ბებია-ბაბუებს ახ-
სოვდათ. „ბაგონი 420“-ის ცხ-
ოვრების წესი თბილისელმა
ჯამბულ პაპალაშვილმა საკუ-
თარი ცხოვრების წესად აქცია,
რაჯ კაპურის პერსონაჟის ყვე-
ლა სიმღერა გებირად იცის და...“



38

| | |
|---|----|
| გზავილება | |
| „ერთობანოს დავმორდით, მაჩრამ ის დღე კველაგე ლამაზი და ტკილი იყო“ | 29 |
| ჯავახთალობა | |
| • გავითავხობასოთ მხედველობა | 32 |
| • კითხვა-პასუხი | 33 |
| დღესაცემი | |
| • რას მოგვითხრობას „ახალი აღმოჩა“ უფლის ნათლისლების შესახებ | 34 |
| • წინადაცვითა უფლისა ჩვენისა იხსო ქრისტიანი | 35 |
| საგანერო | |
| კარლ ლინი - ქართული სიმღერის უცხოულ მომღერალითა | |
| გუნდის თავავაცი | 36 |
| ერთობისათვისი | |
| რაჯ კაარის ავარა თაილისის ქუჩებაში... | 38 |
| საორგანიზაცია | 40 |
| ქართული ფაფაჟივი | |
| ლება ელიაშვილი. მვიონფასი მკვლელი და ჩიკოლიცი (ჩაგრძელება) | 42 |
| ჩავი თაობა | |
| „ჩვი ივითიდ გარჯის ზახეტი მემინა...“ | 46 |
| კულისები | |
| დატა სეირტლაპის მიღვი ნათამაშები საექტაპლი, მანანა კოგაარევას იმპარავიგაცია საქანელაგე და კაბუს განამეორებაკლი „ლასტონება“ | 49 |
| კარსკვავი | |
| თეა ლეონი: „თავს გამარჯვებულად ვგრძნობა“ | 51 |
| გრძნობი | 53 |
| კვატრო | 55 |
| სასირო | |
| „ნეაისიერი კორფასის მეუღლე მისაღებადა, გარდა იმისა, 3065 როგორია მეშაობას...“ | 56 |
| კიბრელი კაემანი | |
| „დავილე პირველი სწავლებით... ისეთი ქმარი მინა, რომელიც...“ | 58 |
| გავაორეოთ თქვენი ციფრი | |
| ტესტი ერადიციაგი | 59 |
| კოროსკოვი | |
| კვირის (17-23 იანვარი) ასტროლოგიური კორგონი | 60 |
| სეავორდი | 61 |
| ივარი | 62 |
| ფასი | |
| როგორი დამოკიდებულება გაქვთ ცხოვრებისეული წვრილებაერადისადგი? | 63 |
| კალეიდოსკოპი | |
| ჭრელ-ჭრელი ამბები | 64 |

გარეპანზ: ირა ლიანოსელიანი კოლაჟი

საზოადოებრივ-არღისტიური შურნადი „ვზა“
გამოისახოვთ ავტორულ, სურაბათორები
გაფეით „კვირის ააღითრის“ დამატება
ფურნალ ხელმძღვანელობით თვეუფლეონი პრესის პინქიციებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ესხვეოდეს მსალის ატორის აზრს.
მთვარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტელეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკადემიური ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispaalitra.com
უფრნელი იშტედება გამოშენებულობა „კოლორში“

„ეს იმითი გურჯის ტახტზე მექინა...“



46

„ქართველმა ერმა აქამდე
იმიგომ გაძლო, რომ რწმენამ
შეინახა. პურსა და წყალბე გა-
ძლებს კაცი, თუ მას რწმენა არ
ჩაუკალი. რწმენა ამაგრებს ად-
ამიანს. დღეს კი შეცევა სწორედ
ეკლესიის მისამართით დაიწ-
ყო...“

„დავილე პიტეს სწავლები... ისეი ქარი მინა მინა, რომელი...“

„საერთოდ, ყველა მეუბნება,
რომ ამაყი და ცოტა ეგოისტი
ვარ. ამას წინათ, გურამიკო მეუბ-
ნებოდა, რქები ცოტა უნდა მოი-
გეხოთ... თუ კიდევ შემიყვარდა
ვინმე და ცოლად გავყევი, მინდა,
ის ჩემს მოთხოვნებს აკმაყ-
ოფილებდეს...“



58

022 ლეონი: „018ს გამარჯვებულად გვრძნოს“



საგელევებით კარიერის დასაწ-
ყისში ამ გრძელფეხება, ქერა გოგო-
ნას კამერის წინ ყოველთვის ნერვ-
იული კანკალი და ღებინება ეწყე-
ბოდა ხოლმე. ერთხელ, შოუში –
„დღეს სადამოს“ მონაწილეობისას
თაგა გადამხდარმა შემთხვევამ თეა-
ლეონი ნერვიული კანკალისგან სამ-
უდამოდ გაათავისუფლა...“

51

ძვირფასი მკველი და ჩიპოლინო ლუა ელიაშვილი



ლუა ელიაშვილი

საუნისენ მივბაკუნობ. ისეთი
განცდა მაქეს, თითქოს ჩემი ფეხ-
ით ვეახელი ღომს გაღიაში...
კარში, თეთო ხალათში გამოწყ-
ობილი, სასიამოვნო გარეგნობის
გოგონა დგას.

– რით გემსახუროთ? – მე-
კითხება ის...

42



გამოსლეთ ფანჯრები!

ახ 21-ე საუკუნის „ყუჟარაჩები“



ზედმეტი არაფერი ვარგა, თქვენ ნუ მომიკვდებით! წინა ხელისუფლებაც ზრუნავდა, ბატონო, ხალხზე, მაგრამ ისე უჩუმრად და შეუმჩნევლად, რომ თუ არსებობდა საერთოდ ხელისუფლება, ვერც მიხვდებოდი. სისტემაც ისე საათივით იყო აწყობილი, რომ თუ კაი ბიჭის სახელით გიცნობდნენ უბანში, არაფერი დაგეკარგებოდა. უფრო სწორად, კი დაგეკარგებოდა, ვთქვათ, მანქანა, მაგრამ უბის ავტორიტეტებთან მაღარის იყისრებდი და მოგაძენინებდნენ. მართალია, ეს მაღარისი ერთი ახალი მანქანის ფასი ჯდებოდა, მაგრამ სად ახალი, უცხო მანქანა და სად — შენი, ძველი და შეჩვეული.

დღეს კი, რა ხდება?! თუ რაიმე მოგარეს, ტელევიზორში იგებ, რომ უკვე ნაპონიცაა და დაბრუნებულიც. მოკლედ, ყველაფრის ხალისი დაგვაკარგვინა ამ პატრულმა! ჯერ მარტო, სირენა აქვს ისეთი, რომ 220 კოლტივით დაგივლის სხეულში და საკუთარ მანქანაშიც რომ იჯდე, მოპარული გგონია და შენი ფეხით მიდიხარ

განყოფილებაში...

ესეც არ გვაქმარეს და ახალი საპატრულო სამსახურიც გახსნეს — „კუჟარაჩა“ — 2005“. თითო უბანზე თითო პატრული იქნება მიმაგრებული, რომელიც პირადად უნდა იცნობდეს თითოეულ მცხოვრებს, მის საქმიანობას, პოლიტიკურ და რელიგიურ მრწამსს, სულიერ თუ მატერიალურ პრობლემებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, წნევას, კუჭის მოქმედებას და ა.შ.

არ მინდა, ბატონო, რომელი დეიდა ანიკო მე მნახეს?! ან კიდევ, კაცი რომ სამსახურიდან დაღლილი ბრუნდება ოჯახში და მის ცოლთან მოსაუბრე „კუჟარაჩა“ დახვდეს სახლში, ხომ გახდება უცებ ეს პატიოსანი კაცი „მურტალო“?!

ანდა, თვითონ ამ „საკუჟარაჩები“ გამზადებულ ხალს უნდა თუ არა „კუჟარაჩობა“, არ კითხულობენ?! მაშინ ერთი მურტალო და ერთი დახლებებამოფხეკილი აფთიაქი იყო, იმ აფთიაქში შესვლაც წამწარეს. დღეს კი, ერთ უბანში ათასი მურტალო, აფთიაქი ხომ იმდენია, რომ ამ ქალაქში ჯანმრთელი თუ ვინმე დარჩა, ვერ იფიქრებ.

ყველაზე დიდი პარადოქსი კი ის არის, რომ ის მურტალო რუსეთში იპარავდა ოქროულობას, თბილისელ აფთიაქარ გოგონას უძღვნიდა და ამიტომ დასდევდა კუჟარაჩა. დღეს კი, ვინც უცხოეთში „ნაშოვნ“ სიმღიდოეს საქართველოში ხარჯავს, ქვემოქმედი და „ჯიგარი“ პქვია, — კუჟარაჩას დაჭრინებს თავს?!

მოკლედ, რა მოხდება, კაცმა არ იცის. ერთი კი ცხადია:

გადაწყვეტილება მიღებულია და კუჟარაჩების მომზადებაც დაიწყო. თანამედროვე კუჟარაჩას მოვალეობაა, კვალში მისდიოს ყაჩაღს, რომელიც სადარბაზოში დაგხვდება და ქურთუქს გაგხდის, რადგან იმ ყაჩაღს თავის სადარბაზოში მეორე დააყაჩაღდებს და ორი ქურთუქით გაიქცევა სახლში... სადაც მესამე ყაჩაღი დახვდება და ა.შ. აი, იმ ბოლო ყაჩაღის სადარბაზოში იქნება სწორედ ჩვენი კუჟარაჩა ჩასაფრებული და მთელ ნადავლს უვნებლად დაუბრუნებს დაყაჩაღდებულ ყაჩაღებს.

ამის გარდა, უბის ინსპექტორმა კულში უნდა სდიოს მოზარდებს, რომ „პაპიროს“ ვინ დაეძებს, პლანი მაინც არ მოსწონ; მარტოხელა მოხუცებს პური და კარტოფილი ბინაზე უნდა მიუტანოს; ქვედა მეზობელს სხმადაბლა მოასმენინოს „კურიერი“, როცა ზედა მეზობელი სერიალს უყურებს; მესიჯი უნდა გაუგზავნოს მეზობლის ცოლთან შესულ კაცს, თუ ქმარი ადრე ბრუნდება სამსახურიდან და ა.შ.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. ამდენ რამეს უბანში ერთხელ რომ გააკეთებს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ისე იღლება, რომ მერე ოთხი წელი საინავს პარლამენტში და ჩვენკენ გამოხედვაც აღარ უნდა. თუ 21-ე საუკუნის „კუჟარაჩები“ შეძლებენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ...



P.S. ზარი იჯახის კარზე:

— გამარჯობათ, მე თქვენს იჯახზე მომაგრებული კუჟარაჩა ვარ. აბა, რა პრობლემები გაქვთ?

დიასახლისი:

— შუქი მაქვს გაფუჭებული და ელექტრიკოსმა ვერ გამიკეთა.

— მე გაგიგეთებთ. კიდევ?

— ონკანს წყალი ეპარება და მეზობელთან ჩადის...

— მე გაგიგეთებთ. კიდევ?

— ჩემს ქმარს ძალიან უნდა, ბიჭი ვაჩუქო, მაგრამ სულ გოგო გამოსდის...

— ...

კრისტოფორი

მსოფლიო კუკმიტი განგამს ფესტივალი

ცხოველისა და მცენარის 15589 სახეობა დაღუპვის პირასაა მისული! — აცხადებს ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი, რომელმაც მათი ჩიმონათვალი 2004 წლის წითელ წიგნში შეიტანა. იმასაც აღნიშვნავენ, რომ ფლორისა და ფაუნის განადგურების პროცესი გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. მსოფლიო კავშირის წარმომადგენლის, კრეიტ ჰილტონ-ტეილორის თქმით, დღეს საფრთხის წინაშე დგას ყოველი მერვე ფრინველი და მუქუმწოვართა მეოთხედი. მეცნიერები ამასთან დაკავშირებით, უფრო პესიმისტურად არიან განწყობილი: მათი აზრით, სიტუაცია შესაძლოა, კიდევ უფრო გაუარესდეს, მით უმეტეს, რომ იშვიათ სახეობათა ცხოველების ადგილსამყოფელი ძალზე ცუდადაა შესწავლილი.



პიტული წყალძველა გუიტამი ჩინურიშვილი

3 მლრდ იუანი (400 მლნ ლონარი) დაჯდება ჩინურში პირველი წყალძველა გვირაბის მშენებლობა, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს საპორტო ქალაქს — სიამინს კონტინენტურ ნაწილთან დააკავშირებს. ამ ძვირად დირექტული პროექტის განხილვა-შემუშავება და მოსამზადებელი სამუშაოებით თითქმის 20 წელი გრძელდებოდა. ამჟამად, სიამინის კუნძულზე მდებარე ნაწილი კონტინენტურს 2 დიდი ხილით უკავშირდება. წყალძველა სატრანსპორტო არტერია ერთისა-მად შეამცირებს მათზე დატვირთვას და, რაც მთავარია, ნაწილობრივ



2004 წლის 26 დეკემბერს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარმა მიწისძრამ და ამის შედეგად წარმოქმნილმა ცუნამიმ უძრეცედენტო გლობალური კატასტროფის სახელი დაიმსახურა. მიყვებულ ზარალსა და მსხვეობლს, აյ ჯერ კიდევ ითვლიან, მეცნიერები კი ცდილობენ, კატასტროფის შემდგომ მოსალოდნელ ცელიდებებზე გააკეთონ დასკვნები. არის თუ არა უკანასკნელი მიწისძრა უძრეცედენტო და რას გამოიწვევს ბუნებაში დედამიწის დერივატო გარშემო უფრო სწრაფად ტრა-ალი? ამ და სხვა კითხვებით გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმური უსაფრთხოების სამსახურს მივმართეთ.

„აზიას მიწისძრა ჩვენა სეისმოსენტრებისა მომხდარი 10 წთ-ში დააფიქსირას, თუმცა საქმე სატრანსპორტო არ გვაქვს...“

ემა ტეხიაშვილი

ზურაბ ჯავახიშვილი,
გეოფიზიკოსთა ასოციაციის ხელმძღვანელი:

— აღნიშნული მიწისძრა უკვე შევიდა მსოფლიოში მომხდარ უძლიერეს მიწისძრათა ათეულში და თავისი სიძლიერით მეოთხე-მეხუთე ადგილი დაიკავა. მხოლოდ 1900 წლიდან დღმიდე მსოფლიოში ოთხი ამ სიძლიერის (შესაძლოა, უფრო ძლიერიც) მიწისძრა მოხდა. ძლიერი მიწისძრების უმეტესობა წყნარი ოკეანის წყლებში ფიქ-სირდება, იქნება ეს ამერიკის კონტინენტის დასავლეთ სანაპირო, კამჩატკა, კურილის კუნძულები თუ იაპონია. წყნარი ოკეანის ამ ადგილებს ცეცხლოვან რეალსაც უწოდებენ. როდესაც ათ უძლიერეს მიწისძრაზე ვსაუბრობდი, მათგან ცხრა, სწორედ იმ ადგილებში მოხდა, მხოლოდ ერთი ფიქსირდება კონტინენტზე, კონკრეტულად კი ინდოეთში, პიმაღლას მოებში. უძლიერეს მიწისძრად ითვლება ის, რომელის მაგნიტუდაც (რიზტერის სკალით, ბალს რომ უწოდებენ), შეადგენს 8,5-სა და მეტს. ამ უკანასკნელი მიწისძრის მაგნიტუდამ 9 ბალი შეადგინა, ასეთი კი კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ 5 იყო. უძლიერეს მიწისძრად დღესაც 1960 წელს ჩილეში მომხდარი მიწისძრა ითვლება, რომელის მაგნიტუდამც 9,5 შეადგინა. სიძლიერით მეორეა 1965 წელს აღასკაზე მომხდარი მიწისძრა, რის შედეგადაც წარმოქნილმა ცუნამი 110 ადამიანი იმსხვერპლა, თავად მიწისძრამ კი მხოლოდ 15. ამთ იმის თქმა მინდა, რომ მიწისძრის სიძლიერე არ განსაზღვრავს მსხვერპლის რაოდენობას. ათი უძლიერესი მიწისძრიდან



თითქმის ყველა, ნაკლებად დასახლებულ ადგილებში მოხდა, ამიტომ მსხვერპლიც ნაკლები იყო. გაცილებით უფრო სუსტმა მიწისძრამ კი სპიტაკში ოფიციალური მონაცემებით, 25 ათასი ადამიანი იმსხვერპლა, თუმცა ამბობენ, რომ მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო. იგივე შეიძლება ითქვას 20-იან წლებში აშეაბადში მომხდარი მიწისძრის შესახებ, რომელიც სიძლიერით ახლოსაც ვერ მივა იმ ათ უძლიერეს მიწისძრასთან, თუმცა მსხვერპლის რაოდენობამ ათეულათასობით ადამიანს გადაჟარბა.

— საუბრობდნენ, რომ აღნიშნული სიძლიერის მიწისძრა შესაძლოა, ხელოვნურად ყოფილიყო პროცენტული. იმასაც ამბობდნენ, რომ შესაძლოა, რომელიმე ქვეყანამ ბირთვული იარაღი გამოცადა და ა.შ. რამდენად შესაძლებელია ასეთი რამ?

— გარწმუნებთ, რომ ამ უკანასკნელ მიწისძრაში უცნაური არაფერია. თუ გადაეხდედავთ შესაბამის სტატისტიკას, აღმოვაჩნთ, რომ ყოველწლიურად ერთი

ისეთი მიწისძვრა მაინც ხდება მსოფლიში, რომლის მაგნიტუდაც 8-ზე მეტია. თუმცა, გასული წელი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი იყო, ვინაიდან ინდონეზიაში მომხდარ მიწისძვრამდე 2-3 დღით ადრე, წყარი იკანის სამსროით, დასახლებული პუნქტებიდან საკმაოდ შორს, სწორედ ასეთი სიძლიერის მიწისძვრა მოხდა. თუ გადავხედავთ მიწისძვრის გამომწვევ მიზეზებს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებთ, რომ საქმე ჩვეულებრივ, ბუნებრივ პროცესთან გვაქვს. ფილაქნთა თეორიის თანახმად, დედამიწის ლითონისფერო ანუ მისი გარე გარსი დაყოფილია საკმაოდ დიდ ფილებად, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მოძრაობს. ამ მოძრაობით გამოწვეული შეჯახების გამო ხდება დაძლევლის დეფორმაცია ხდება: ენტეგის დაგროვება, ხოლო შემდეგ – უეცარი განმუხტება, რაც სხვა არაფერია, თუ არა – მიწისძვრა. იმის გათვალისწინებით, რომ ინდოეთის ფილადიდი სიჩქრიოთ ეჯახება ევრაზის კონტინენტს (მისი სიჩქარე წელიწადში 6 სმ-ს შეადგინს), ასეთი მიწისძვრა ამ მიდამოებში გარკვეული და მოსალოდნელიც იყო. რაც შეეხება ამ მიწისძვრის მისადაგებას ბირთვულ იარაღთან, არსებულმა კლევებმა დაადასტურა, რომ მისი სიძლიერე ხიროსიმში აფეთქებული 23 ასეთი ბომბის ტოლი იყო.

უცხოელი მეცნიერები ვარაუდობრივ, რომ ასეთი ძლიერი მიწისძვრის შედეგად შეიცვლება დედამიწის ბრუნვის სიჩქარე წამის მემილიონებით დღე-ღამის განმავლობაში, რომლის დაფიქსირებაც შესაბამისი ხელსაწყოებითაც კი შეუძლებელია. როგორც უკვე გიოთხათ, 50-60-იან წლებში უკვე მომხდარა ამაზე ძლიერი მიწისძვრები, თუმცა მასშტაბური ცვლილებები არ გამოუწვევია. ასეურდია საუბარი იმაზე, რომ მსოფლიოში კლიმატი შეიცვლება, რადგან მიწისძვრა დედამიწის ზედა გარსში, ლითონისფეროში ხდება. თუმცა თავად მიწისძვრის გაიცენტრსა და მის მიმდებარე რეგიონში, ბევრი რამ შეიცვლება. უკვე ცნობილია, რომ ზღვის ფსეკრზე ფილების 10-15 მეტრით გადაადგილება მოხდა, გარღვევამ 400 კილომეტრი შეადგინა, ხოლო კატასტროფით დაზიანებულმა არემ 1200 კილომეტრი მოიცვა. ეჭვგარეშეა, რომ იმ ადგილებში შეიცვლება ზღვის დონე,

მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილი ტალღა აუცილებლად გამოიწვევდა იქაური რელიეფის შეცვლას. რა თქმა უნდა, ცვლილებებია მოსალოოფელი ფლორასა და ფაუნაშიც. როგორც მცნიერები ვარაუდობნ, მის აღდგენას 50 წელი მაინც დასჭირდება.

— ითქვა, რომ კატასტროფის მოახლოება ცხოველებმა იგრძეს, სპილოებმა რამდენიმე ტურისტის გადარჩენა მოახერხეს...

— ცხოველებმა იგრძნეს ძლიერი ტალღის მოახლოება, რასაც თან სდევს ბევრითი სიხშირე, რომელიც ადამიანისთვის მიუწვდომელია და მხოლოდ ცხოველები რეაგირებენ მასზე. რაც შეეხება ცხოველების რეგიონებას მოახლოებულ მიწისძვრაზე, ეს საკითხი სამეცნიერო წრეებში უკვე ეჭვს იწვევს. ხანგრძლივმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ძალიან ხშირად ცხოველები ვერ გრძნობენ მოახლოებულ მიწისძვრას და პროგნოზირების ეს ხერხი არასამედოდ ითვლება. რაც შეეხება ცუნამის, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ეს არის მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილი ოკეანის ტალღა. მიწისძვრას, რომლის მაგნიტუდა 7 და მეტია უკვე, შეუძლია ცუნამის გენერირება, ამიტომ შექმნილია სისტემები, რომლებითაც საკმაოდ სწრაფად ისაზღვრება მიწისძვრის ეპიცენტრი და იგზავნება გაფრთხილება მოსალოდნელი ცუნამის შესახებ. ასეთი სისტემა არსებობს წენარი კვეთის ირგვლივ. მაგრამ ინდოეთის ოკეანში ასეთი სისტემა არ იყო; ფაქტია, რომ ბუნებრივ კატასტროფებს დიდი მსხვერპლი მოსდევს ნაკლებად განვითარებულ და ეკონომიკურად სუსტ კვეჭნებში. მიწისძვრისა და წარმოქმნილი ცუნამის ამსახველ ანიმაციას თუ გადახდავთ, აღმოაჩენთ, რომ მიწისძვრიდან მხოლოდ 2 საათის შემდეგ მიაღწია ცუნამი შრი-ლანკას, ინდოეთის სანაპიროებსა და მალდივის კუნძულებს. აფრიკას ტალღა მხოლოდ მეორე დღეს მიადგა და სომალიში მაინც მსხვერპლი იყო. ელექტრონულად, საჭირო იყო გამაფრთხილებელი სისტემა და უამავი ადამიანი დაუსხლტებოდა სიკვდილს ხელიდან.

— შეუძლიათ თუ არა მეცნიერებს, სეისმოლოგებს მოსალოდნელი მიწისძვრების პროგნოზირება?

— ჩვენ ყოველდღე ვაკვრდებით მიწისძვრების რუკას და მსოფლიოში ყოველდღიურად 15-20 ისეთი სიძლიერის მიწისძვრა ხდება, როგორც 2 წლის წინ თბილისში მოხდა. იმის მიხედვით, თუ სად არის სეისმურად

დააზღვევს ქალაქს ბუნებრივი კატასტომებისგან, რომლებიც ბევრ პრობლემას უქმნის მის მოსახლეობას ეწ. ტაიფუნების სეზონების დროს.

მმართველობი ატ ექსპრესი... ექსპრესი... ექსპრესი...

მსოფლიოს 60 ქვეყანაში მოსახლეობის 63%-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ლიდერების, განსაკუთრებით – პოლიტიკური ელიტის მიმართ. ასეთია Gallup International-ის მიერ ჩატარებული, საზოგადოებრივი აზრის ტალღა. მიწისძვრას, რომლის მაგნიტუდი 7 და მეტია უკვე, შეუძლია ცუნამის გენერირება, ამიტომ შექმნილია სისტემები, რომლებითაც საკმაოდ სწრაფად ისაზღვრება მიწისძვრის ეპიცენტრი და იგზავნება გაფრთხილება მოსალოდნელი ცუნამის შესახებ. ასეთი სისტემა არსებობს წენარი კვეთის ირგვლივ. მაგრამ ინდოეთის ოკეანში ასეთი სისტემა არ იყო; ფაქტია, რომ ბუნებრივ კატასტროფებს დიდი მსხვერპლი მოსდევს ნაკლებად განვითარებულ და ეკონომიკურად სუსტ კვეჭნებში. მიწისძვრისა და წარმოქმნილი ცუნამის ამსახველ ანიმაციას თუ გადახდავთ, აღმოაჩენთ, რომ მიწისძვრიდან მხოლოდ 2 საათის შემდეგ მიაღწია ცუნამი შრი-ლანკას, ინდოეთის სანაპიროებსა და მალდივის კუნძულებს. აფრიკას ტალღა მხოლოდ მეორე დღეს მიადგა და სომალიში მაინც მსხვერპლი იყო. ელექტრონულად, საჭირო იყო გამაფრთხილებელი სისტემა და უამავი ადამიანი დაუსხლტებოდა სიკვდილს ხელიდან.

დოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების, რომელიც მსოფლიო კვინონიკური ფორუმის დაკვეთით, 2004 წლის ბოლოს ჩატარდა. ისტებლიაშენტის მიმართ განსაკუთრებით კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევიან ლათინური ამერიკის, სამხრეთ აზიის (ინდოეთი, პაკისტანი) და აფრიკის ქვეწები, სადაც მოსახლეობის 82-დან 87%-მდე პოლიტიკურებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს უპატიოსნო ადამიანებად მიჩნევს. ყველაზე ნაკლებად აკრიტიკები თავიანთი ლიდერებს დასავლეთის მეორების მიმერვების გარემონტურების, რომელთა მხოლოდ 46%-ს მიაჩნია, რომ ისინი არაკომისანდისიერები არიან. გამოკითხვის მიხედვით, ბაზნესელი კვლეულია, პოლიტიკური მეტების მიზანის დამტკიცებით სარგებლობებს. მაგალითობრივ, 43% მიჩნევს, რომ ბიზნესის უპატიოსნო ადამიანები არიან, 49% – რომ ზედმეტი ძალუფლებით გარემონტურები არიან, 22% – რომ არაკომისანდისიერები არიან.

აქტიური ზონა (რადგან მოგეხსენებათ, რომ მიწისძვრები ყველაზე არ ხდება), გარკვეულწილდა პროგნოზირებაც შესაძლებელია. ეს არის გრძელვალიანი პროგნოზი, რომელსაც სხვაგვარად სეისმური საშიშროების შეფასებაც ჰქვას. ჩვენ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, საშუალოდ რა მიწისძვრებია მოსალოდნელი საქართველოში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მიწისძვრა ხვალვე მოხდება.

— იქნება გაგვიმჩნილოთ, რა პროგნოზები გაქვთ საქართველოსთან დაკავშირებით?

— პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ დროითი პროგნოზი, ჯერ კიდევ სამცნოერო კვლევის საგანია. მეცნიერების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ორად იყოფა. ერთი მიმჩნევენ, რომ მიწისძვრა ის მოვლენაა, რომლის დროის ზუსტად განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია. თუმცა, ისეთებიც არიან, ვინც მიმჩნევს, რომ კვალიფიციური დაკვირვების შედეგად, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, დაკვირვების შედეგად შემიძლია გითხრათ, რომ მიწისძვრების აღნათობა მომატებულია. საქართველოში ბიძგები ყოველდღიურად ხდება, თუმცა საბეჭდიროდ, ეს ისეთი ბიძგებია, რომლებსაც ჩვენ ჯერ ვერ ვრმნობთ. შემიძლია ისეთი რეგიონებიც დაგისახელოთ, სადაც წინასწარ ვიცით, რომ ყოველდღიურად მოხდება სუსტი ბიძგები. ეს გახლავთ ჯავახეთი და კავკასიონის ქედი.

— საინტერესოა, საქართველოში მომხდარი უკანასკნელი მიწისძვრის შემდეგ, რა შეიცვალა სეისმური უსაფრთხოების თვალსაზრისით?

— აღბათ გახსოვთ, როგორ მძიმე მდგომარეობაში იყო საქართველოს სეისმური ქსელი: ობსერვატორიაში დენი არ იყო, თანამედროვე აპარატურა კი თითქმის არ გვქონდა. ბევრი უცხოური და ადგილობრივი ირგანიზაცია დაგვეხმარა 2002 წელს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ და დღეს საქართველოში ათი ციფრული სეისმური სადგური მუშაობს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ აპარატურით მონაცემების მიღება რეალურ დროშია შესაძლებელი. ერთ-ერთი სადგური დავითგარეჯში გვაქვს გახსნილი და იქიდან წამოსული მონაცემები გეოფიზიკის ინსტიტუტის მე-6 სართულზე იყრის თავს. თბილისში ორი სეისმური სადგური მუშაობს, რომელთაგან ერთერთი სამტბის ტამარშია დამონტაჟული, რაღაც ეს ტამარი საკმაოდ ახლოს მდებარეობს 2002 წელს მომხდარი მიწისძვრის ეპიცენტრთან. ერთი ასეთი სადგური სკანერში, ბერმში, მეორე კი — ხელგაჩაურის რაიონში. მაგნიტუდა 6-ს ზემოთ მომხდარი ნებისმიერი მიწისძვრა იწერება ჩვენს ცენტრებში. ჩვენ ვთანამშრომლიბთ მსოფლიოს სხვადასხვა სეისმურ ცენტრთან და ვალდებულებაც გვაკისრია, რომ ჩვენთან ასახული ინფორმაცია მივაწიდოთ მათ, ვინაიდან მიწისძვრის სიძლიერე ამ ხერხითაც განისაზღვრება. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრა ჩვენმა სეისმოცენტრებმა მომხდარიდან 10 წუთში დააფიქსირეს. თუმცა საქმე სატრაბახოდ არ გვაქვს. ქვეყანაში მომველებულია სამშენებლო კანონმდებლობა, ნორმები, კონტროლი. ვფიქრობ, ყოველივე ეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის გადამონაშოთა. მაშინაც რომ უვარვისი იყო, ამას სპიტაკის

მიწისძვრა ცხადყოფს. აღარაფერს ვამბობ სამაშველო სამსახურების მომზადების დონეზე. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მოვლენებაა, რომ მიწისძვრის შემდეგ სწრაფად განვსაზღვროთ ეპიცენტრი და შეტყიბინება გაგუგზანოთ შესაბამის უწყებებს. როდესაც ასეთი სამწუხარო ფაქტი ხდება, დაბმარების აღმოჩენა მხოლოდ პირველ 2 საათშია ეფექტური. ორი საათის შემდეგ თითქმის 90%-ის გადარჩენის შანსი აღარ არსებობს, ხოლო 2 დღის შემდეგ კი შანსები ნულის ტოლია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე მოსახლეობის ინფორმაციება ბუნებრივი კატასტროფების შესახებ. მასის როდესაც 2 წლის წინ თბილისში მიწისძვრა მოხდა, ხალხი გაოცებული მეკოთხებოდა: თბილისში ასეთი რამ შესაძლებელია? კიდევ ერთხელ ვმეორებ, რომ საქართველო სეისმურად საკმაოდ აქტიური ზონაა.

— საქართველოს ზღვისპირა რეგიონებში რამდენად შესაძლებელია წარმოიქმნას ცუნამი?

— ცუნამის რეალური საშიშროება საქართველოში არ არსებობს, რადგან შავ ზღვაში ასეთი ძლიერი მიწისძვრები არ ხდება. როგორც უკვე გითხრათ, ცუნამი ინფორმაცია მოვაწიდოთ მათ, ვინაიდან მიწისძვრის სიძლიერე ამ ხერხითაც განისაზღვრება. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრა ჩვენმა სეისმოცენტრებმა მომხდარიდან 10 წუთში დააფიქსირეს. თუმცა საქმე სატრაბახოდ არ გვაქვს. ქვეყანაში მომველებულია სამშენებლო კანონმდებლობა, ნორმები, კონტროლი. ვფიქრობ, ყოველივე ეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის გადამონაშოთა. მაშინაც რომ უვარვისი იყო, ამას სპიტაკის


— აზიაში მომხდარ მიწისძვრას აღბათ მრავალი მეცნიერი შეისწავლის. სამცნოერო თვალ-საზრისით, თქვენ თუ დაგაინტერესებთ ეს მოვლენა?

— ერთი წამით რომ დავიგიშვილოთ კატასტროფის სავალალო შედეგები, აღნიშნული სიძლიერის მიწისძვრის ძალიან საინტერესო ინფორმაციას გავაწვდის დედამიწის შინაგან აგებულებებზე, რა პროცესები მიმდინარეობს დედამიწის წალში და ა.შ. მინდა გითხრათ, რომ ადამიანმა დედამიწის გაბურღვა მსოლოდ 10-12 კილომეტრის სიღრმეზე მოახერხა, დანარჩენ ინფორმაციას მცნიერებები, მხოლოდ მიწისძვრებისა და ავეთქმების შედეგად წარმოქმნილი ტალღებიდან ვიღებთ. მაგრამ მიწისძვრის ძროს წარმოქმნილი ენერგია გაცილებით მეტა, ვიდრე თუნდაც ბირთვული აფეთქების ძროს. წყლის ქვემოთ მიწისძვრის ეპიცენტრის შესწავლა ცოტა გაჭირდება, თუმცა ის ინფორმაცია, რაც თუნდაც ჩვენ გვაქვს, საკმარისი იქნება სამომავლოდ გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად.



„მორი უცრი, გვარ, ეს ქვეყნის შვილი და ლაპარაკი მოხდით!..“

67 წლის მიტო ეძღვერა დე
საკოლეჯურნეო ბაზარში
ცხოვრობს — დიახ, სწორე-
დაც რომ ცხოვრობს, რადგან
დილით ყველაზე ადრე ცხად-
დება „სამსახურში“ და
იქადან მაშინ მიდის, როცა
კაციშვილი აღარ ჭაქანებს
ბაზრის ტერიტორიაზე.
ზოგჯერ არც მიდის თურმქ:



068 ჩაყელი

— მეხარება დაღლილს ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში წაყიალება, ნამეტ- ნავი შორს ვცხოვრობ ბაზრიდან; დოვურებაკაც მობილურზე ჩემს თინასას და ვეტენი — არ მიდარდო, ლოგინიც რბილი მაქ, თეთრულიც „კრაბმალიანი“, მეგობართან ვეტოვთ-თქვა, — და წოვუ- წობი ძეველ საწყობში ხის ფუთბით შეერულ „ლოგინზე“, წევითარებ ძეველ „დაზიალას“ და უეს არ ვარყვე დილამ- დი, მძინავს გემრიელად, უძილობას არ ვუჩივი; თუ მეძინება, დროზე თუ ვერ მოვასტარი დაწოლა, შეიძლება, ფეხზე ქე დემებინოს... დაშლივინობენ ვირთხე- ბი, მარა მე არ მერჩინ, მცნობენ უკვე, ვემაკაცობთ და ზოგიერთ კაცზე მეტად თუ არ იცოდენ შინოურის დანდობა და გატანა, მე მოგვტე, არაფრით ჩემს ულუ- ფას არ მიეკარებინ, ყოლითვერს შეჭამენ და ცხვირწინ რო დოუდევა, არაფრით არ შეჭამენ, რო იციონ, ჩემია. ნეტა, ამდენი ჩემს თავრობას ცოდნოდა, რო მიაღენ და თქველიფენ საწყალი ხალხის პენ- სიები, მიტო გადავვენ მუცლეფს... მე მაინც შემეცოდა, ისთე შევარდნაძე, რა ვიცი, არ მჯერა რასაც მაგაზე ამბობენ, უგონებენ ალბათ, თვარა ამდენი მილიო- ნი ერთ სახში მიცა, იმდონი კადე — მეორეში, მაგ ოჯახაშენებულ ეცხ- ვორა ერთ სახში, მეორეს ფასით ხელ- ფასი და პენსია დეერივებია გაჭირვე- ბული ხალხიზა, კი არავინ მიუვარდე- ბოდა სახში, გარეთ გასაგდებათ. მაგი რო დოუანებლად გამოაგდენ გარეთ, ისთე მე ჩემს ვირთხებს ვერ გვევმეტევ, აა... ზომა უნდა იცოდე კაცმა ჭამაშიც, სმა- შიც, ლაპარაკშიც...

— მობილური ტელეფონი იყი- დეთ თუ გაჩუქეს?!

— ააა-ა, მე სად მქონდა მისი ყიდვის საშვალება?.. თან ამბობდნენ — ტვინს აწყალებსო და ჩემს ტვინს კიდო გაწყ- ალება უნდოდა!.. ერთმა კაცმა მაჩუქა, ნებეტნავი მდიდარია, ვენახი დოგუბარე გაზაფხულზე. თავათ ხუთი მაინც ედვა ჯიბეში, ზოგჯერ ხუთოვე ერთათ რეკავ- და და დენდარტტებულივით მიგიმიბ- და... სულ ლაპარაკობდა და ჰკვიანური და გასაგები აფერი გამიგონია მისგან... უცნაური ხალხა მდიდრები; რო კითხო, ხუთი ინსტიტუტი აქვნ დამთავრებუ- ლი და წინადადებას ვერ მართავენ ხე- ირიანად... ფულოთან ერთად მაჩუქა ეს ტელეფონი, მობეზრდა თავდა ალბათ: რო დამჭირდები, მეცოლინება მაინც, სად უნდა დაგირეოო... მირევას, ხან რას მთხოვს და ხან — რას; მეც ვაკეთევ და მა- ძლევს ფულს, იმასაც მეუბნება — შენი- სთანა მმაკაცი ვერ არ მყოლია! — მარა ქე ვიცი, რაცხა მმაკაცობა შოუ- ძლია მაგვერ ხალხს, თავათ „მერსედეს- ით“ რო მიგრიალობს, მე ტაქში ჩამს- ვამს და მივზღვე უკა... მამა უცხონდა, მყოლოდ პატრონი და მეცლო სკოლა- ში, მაგაზე ნაკლები ბიჭი ვიქებოდი?! — როი წელი ვიარე სკოლაში და „ვეფხ- ისტყაოსანი“ ახლაც ზეპირად ვიცი; თუ გონდა, მოგიყობი, რომ მევიცლი. ერთხელ თეატრშიც ქე მოვყევი, რაცხა კონკურსი იყო — „ხალხური ტალან- ტები“. თლათ მთავარი პრიზი მომცნ — ვერცხლით გაწყობილი ყანწები; ახლაც იმითი ისმება ჩემს ოჯახში განსხვავე- ბული სადღინებლო... კიდო, რახან ჩემზე საწყლათ ჩატული კაცი არ იყო იმ დღეს თეატრში, უთურის თავუდომარებ-

თავისი შარვალ-კოსტუმი მაჩუქა და აგერ ოცი წელიწადია, იმითი დავდევარ ნათესაც-მოყარები, ქორწილია თუ გას- ვენება, ნამეტნავი კაი გამოდგა ნაჭერი, გამძლე, არც გახუნდა...

— ოჯახში ვინა გყავთ, ძია მიტო?

— მე და ჩემი ცოლი თინაიე ვართ და კიდო, ჩემი ავანტყოფი შვილი, რე- ზოი. ბოვშობაში ბატონები გოვჯავ- რდენ, მაშინაც გვიჭირდა, ვერ შოგვისრუ- ლეთ, რაც გვთხოვა და ეწყინათ; კანალშ მოგვიკტა. გადარჩა, მარა თვალისჩინი და სმენა წართვა... ოდნავ ხედავს ქვე- ნიერობას, მარა მაინც ქვეჭნის საქმეს აკეთებს. მე თლათ წამოსული ვარ აპა, სახლიდნ, და ეგაა, რაცა... ორი უმ- ფროსი გოგო გათხოვილია, ერთი თვი- თონაა ბებია, შვილთაშვილიც მყავს, აპა- ა, იმას ენაცვლოს ბაბუა, ძან უყვარს ჩემთან ყოფნა, სამი წლისაა ჯერ და ღმერთს ვეხვერწები მის დავაშკაცებას მომასტროს... ბოვშები ვიყავით მე და თინაიე, რომ გევი პარეთ... ბოვში რომ იყო, მიზო გაბრიყელა და წამომყა, თვარა, ჩემზე ღარიბი და გაჭირვებული კაცი არ იყო სოფელში... 1936-ში ვარ და- ბადებული, მეტყიდე ბაღანე ვიყავი ოჯახ- ში. მამაჩემი 41-ში რო წეიყვანენ ომში, წერილიც არ მოსულა მისი, ისთე დეიკარ- ქა. 5 წლის ვიყავი მაშვინ... სკოლაში ქე მიმიყვანეს, მარა ორი კლასიც ძლიერს დავამთავრე, არც ფეხსაცმელი მქონდა, არც ჩასაცმელი — ზაფხულში კიდო არ მიჭირდა რამე, მარა ზამთარში ვიყავი ნამეტნავ გლახა ღლები: რავარია, თოვლ- ში და ყინვაში ფეხშიშველი სიარუ- ლი!... გონია, მაშინ გედევიტანე ტვინის ანთება. ქე ვიცი, ჩემზე რო ამბობენ —

ჭკუამხიარულიაო, — მარა მტერმა უყურა, ბუჯო, ამ ქვეყანას ჭკვანი და დალაგებული გონიერი!.. ჩემი ტოლი ქალი რო ხიდის უკრებში დადგება საბორისა, გაიკითე არ ხარ, ქე უნდა მეკელა თავი, აპა, რა უნდა ქნა?.. ან ამდენი მათხოვარი ბაღანა და ბებერი რო დაგიძის, რაის თავრობა ხარ შენ და რა ჯანდაბა გაძინების თბილ ლოგინში?! გონია, ის თავრობაც ჩემსავით გიურ და უსტავლელია, არც წიგნი წილითხავს და არც ისტორია იცის. მშეგია ხალხი რო სახში შემოგიხტებოდა, არ უნდა გცოლოდა, აპა?.. ხმელა პურს ჭამდა ხალხი და ისიც რო გოუგმირეს, რას ფიქრობდენ?! ახლებმა მაინც იხმაროს ჭკუა, თვარა, ამდგენსაც ღოუძახებები — ჩამოით ძირს! — იგი შევარდნააქ იყო, ძევლი კაცი, სხვანაირათ ეშინოდათ მისი, რა იცი, რას მეიფიქებდა, კომუნისტების ხელში გამოზრდილი — არ მეეწონებილი და გაგაციმბირებდა! ახლები ამდენს ვერ გაბედავენ და აღარცა ის დრო, ხალხს რო ყველაფრის ეშინოდა და რატო თუ იცა?! — აღარავერი აქვენ დასაკარია: კაცს რო ცოლს და შეილს გოუბოზეფ, გოუმათხოვრეფ, იგი კაცი ყოლიფერზე წამსვლელი და ხელის მომწერია მერე, სიკვდილსაც ქე შეერკინება და თუ მოკტება, იგიც ქე ურჩევნია ამფერ სიცოცხლეს, აპა!..

— გაზარში რას აკეთებთ, ძია მიტო?

— შენ ის მითხარი, რას აღარ ვაკეთებ — ეგ ბაზარი ჩემი თელი ცხოვრებაა. ქალაქში რო ჩამევედით, სოფლიდან გამოპარული მე და თინაიე, ამ ბაზარს რომ არ მოვდეგომდით, გავგვრებოდა სული საცხა ჩირგვებში... რომ დაეხებიალობდით დაბნეულები, შეგვამჩნია მილიციელმა და დაგვიჭირა, დირექტორთან მიგვიყვანა. შემეშნდა და ვუთხარი სიმართლე, შევეხვერწე — ოღონდ ნუ დამიჭერ და ახლავე დაგბრუნდები სოფელში-თქა!.. დამჭირა, კი არა, ქორწილიც ქე გადამიხადა და საწყობში პატარა თოახიც დამითო — დროებით იყავითო! მერე, მიწის ნაკეთი ამაღებია ქალაქის გარეუბანში და ჩემი ხელით ვაშენე ის სახლი, ახლა რომ ვცხოვროთ შიგ და ოჯახი გვჩია... კაი კაცი იყო ცხონეული ალიოშა შუთიძე; ყოველ აღდგომას დევიარები მის საფლავზე და მამასავით დაეტირი. საკუთარი არც მახსოვეს, აპა... — ლექსებს ნერსო — თქვენზე მითხრეს... — ლექსებს კი არა, იმას კიდო...

ხანდახან დაგდები ჩემთვის და ვმასხროვ, ბაზრის ბიჭებს უყვართ ჩემი მოსმენა და პოეტი ხარი, „ციგნობებ“...

— იქნებ, ერთი მანც წამიკითხოთ?!

— „რაც თავრობა შეიცვალა, გამიმრავლდა დარღები: ძველმა სისხლი გამომწოვა, ახალს მოაქ ვარდები... პური მინდა, მშია, მიშა, ნახშირივით ვმავდები — მომიტანე ცხელი ჭადი, თუ მართლა გედარდები!..“

— პოლიტიკა განტერესებთ?

— ყველა დიდი პოლიტიკოსი ამ ბაზარში ვართ თავმოყრილი, თუ ძან გაინტერესებთ, და ჩვენი პარლამენტიც გვაქ, პრეზიდენტად მე ამირჩიეს და ყოლიფერს მეკოტებიძინ: შენ რომ გვირჩევ, იმ საქმეს წყალი არ გოუვაო! — მევბენებიან. რჩევას რავა დავმაღლი ვინმეს?.. ნეტა, ფულიც მომცა იმდონი, ნამდვილ პრეზიდენტებს რომ აქვენ, იმ ჩემი ავანტყოფი შვილის სიცოცხლეს ვიფიცებ, თვარ ავაყავო ჩვენი საქართველო, შემიერ ბაღანას და ბებერს რავა გავაჭანებ ქვეყანაზე?! ე-ე-კ, რას გეგბე აქ ქვეყნისას, ჩემი ბიძიე?! რას მაჩურჩუტებ ამდენს? ვის რამი აინტერესებს მიტოი ებგვერაძე და მისი სადარღებელი?.. მილიონი საქმე მელოდება. ეგი ნაგავი რომ მოვხველე, ახლა უნდა გვიტანო, მერე ბოსტნეულის ნაჩენებს კოლიას გოლოვუტან — საზაროთ კურდღლები გვყვს მოშენებული. თუ მეწვევი, ქე დაგიკლავ და მოგარომევ, ძან ვერმინელია...“

— კურდღლის ხორცი არ მიყვარს, მაგრამ აუცილებლად გასტუმრებით, ძია მიტო... ისიც გაფიგე, რომ ჩინებულად მლერით თურმე.

— მოი, მოი და ერთათ ვიძლეროთ, ოღონდ, არ მოსტყოფ, იცოდე და წოვექიფოთ ჩენებურად, იმერულად... დეილოცა ღმერითის სამართალი, იგა ჩემი მიდიც და პრეზიდენტიც...

...მერე მობილურზე დაურევეს ძია მიტოს და აქერქა, დაქმუშებოდა: გაზეთში თუ მართლა გამწერ, ხალხს ასე უთხარი — არ შემძნებ, თუ კომე უნდა დაგარქელიყო და მომკერიყო, მე გაგრძებოდი ამდონი გაჭირვებით და უპატრონით, მარა ვცოცხლოვ. ჩემსა მარჯვენამ ვადამარჩინა. ოღონდ მარჯვენა გიხართო ღმერთმა, შრომა არ დეიხართო და პრეზიდენტი გვეყოლება თუ არა, მაი არა ჩვენნაირების სადარღებელი, იმან იდარღოს, კისაც აქმდე უდარღიაო!.. ■

შარშან ამ დროს, ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა. რა შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში? ამ ერთი წლის განმავლობაში? რას ველოდით ახალი ხელისუფლებისგან და შედეგად რა მივიღეთ? პოლიტიკური წლის პლუსები და მინუსები — ოპოზიციონერი-პარლამენტარის, ლევან პირის გერძის გადარღისათ.

„კროფესიონალი მარტო ის არ არის, ვისაც უცხოეთის უნივერსიტეტის დიპლომი აქვს“

ანუ ახალი ხელისუფლების „ინუცურაციის“ წლისთავი

ლელა ჭანკოტაძე

— რა შეცვალა ქვეყნაში ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდონ?

— რაც გაკეთდა, პირველ რიგში, ის არის, რომ საქართველო აღარ არის შევარღნამისა და ასაშიძის ქვეყანა. ეს დაღებითია. აგრეთვე, საქართველომ გადადგა ნაბიჯები ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით და ხმა ამოიღო დსთა-ს სამიზნე. ასევე დაღებითად უნდა შეფასდეს რევოლუციური ხასათის რამდენიმე კანონპროექტი. განსაკუთრებით, საგანმანათლებლო რეფორმის კანონპროექტს ვჰულასხმის მიმართულების დამსახურების შეფასდეს ბორცვების ზრდაც თუმცა, ეს ძალზე პირობითი ზრდა გახლავთ, რაღაც ის მოხდა აღმინისტრორების გაძლიერების და არა ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად... უკრყოფით გაცილებით მეტია. ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა ძალიან ჰარმონიზირების შეფასდეს თავისუფლების დონე ქვეყნაში არ ამაღლებულია. პირიქითი ზრდა გახლავთ, რაღაც ის საფლავზე და მასავით დაეტირი. განსაკუთრებით, საგანმანათლებლო რეფორმის კანონპროექტს ვჰულასხმის მიმართულების დამსახურების შეფასდეს ბორცვების ზრდაც თუმცა, ეს ძალზე პირობითი ზრდა გახლავთ, რაღაც ის მოხდა აღმინისტრორების გაძლიერების და არა ჩვენნაირების სადარღებელი, კისაც აქმდე უდარღიაო!.. ■



მოუთმენლობა ახალგამრდა
ასაკიდან მოიდა, მაგრამ
ცხოვრება მოთმინებას მოიხოვს

ამისა, დემოკრატიას უჭირს იმ თვალსაზრისითაც, რომ სულ უფრო ნაკლებია არჩევითი თანამდებობების რაოდნობა. მაგალითად, აქანაში ანალი ხელისუფლება, პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა ადგილობრივმა პრემიერმა ჩამოაყალიბა. სამწუხაროდ, არ სდება ცვლილებები მუნიციპალურ დონეზე: ადგილობრივი ოკითხმართველობის არჩევნების საკითხი კვლავაც გაურკვეველი რჩება. თბილის კვლავ დანიშნული მერი პყავს, რომელიც არ სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით. უამრავი სხვა პრობლემის ჩამოთვლა შემოძლია, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვთ დემოკრატიასთან მიმართებაში. მდგრადარება არ გაუმჯობესებულა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, რიგ შემთხვევებში კა გაუარესდა კიდეც. პილიციაში ისევ ხდება ხალხის წამება, მოუხდება და მისა, რომ ხელისუფლების სათავეში დეკლარირდა და დაცვითი გარემონტინირებას — უკანონობის სამართლით და სამართლებრივი რეალობის მიმართ.

— ბიუჯეტან დაკავშირებით მინდა დაკაზუასტო: ხელისუფლება თავისი წარმატებული პოლიტიკის ერთ-ერთ მაგალითად გაზრდილ ბიუჯეტს მიიჩნევთ. თქვენ ამას წარმატებად არ მიიჩნევთ?

— საქართველო სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. ბიუჯეტის გაზრდას არ მოჰკოლა ხელფასების ზრდა დაუცველი უფრგებისთვის, რომელიც მოსახლეობის უზრავლესობას შეადგენს. გაიზარდა ფასები, რომელიც დაკავშირებულია კონტრაბანდის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლასთან, მაგრამ ფასების ზრდას არ მოჰკოლა ხელფასების მატება. ამიტომ უბრალო მოქალაქეებს, რომელიც ადრე, ბაზარში კვერცხს 15-20 თეორად ყიდულობდა, ახლა ამ კვერცხს 35 თეორად სთავაზობენ. მოსახლეობის მიენებს, რომელიც ხელფასი არ გაზრდიათ, ცხოვრების დონე მკვეთრად გაუუარესდათ. არადა, ხელისუფლება ამ ხალხს მოუწოდებს — იამაყოს გაზრდილი

ბიუჯეტით... ხელისუფლებას აქვს პრიორიტეტები. მაგრამ ამ პრიორიტეტები მხოლოდ სიტყვიერად ფიგურირების პენიონერები და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები. პედაგოგებისა და ბიბლიოთეკარების ხელფასები არც ერთი თეორით არ გაზრდილა, მაშინ, როცა ფინანსთა სამინისტროს მუშაკების ხელფასები იმდენად გაიზარდა, რომ მასწავლებლის 30 ხელფასს გაუტოლდა...

— ტრიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— ყველაზე მეტი, რაც გაკეთდა, ეს შეკარისაძისა და აბაშიძის მოშორება გახდათ. მაგრამ ამას არ მოჰყოლია აჭარის დემოკრატიზაცია. თუმცა იყო ისეთი განწყობა, რომ ძალიან სწრაფად გადაწყვეტილებოდა ე.წ. სამხრეთი ისეთის ანუ სამაჩალოს საკითხი, სამწუხაროდ, ის მცდარი აღმოჩნდა. ხელისუფლებამ იჩენა. არადა, საჭიროა ხანგრძლივი, ნაყოფიერი, მოლაპარაკებები. ტერიტორიული მოლანინიბის აღსაღებად ძალზე გრძელი და „მერი“ გზაა გასავლელი. ხელისუფლებამ თავისი შეცდომა განსაკუთრებით სერიოზულად განიცადა, როგორც მარცხი, ისე აღიქვა, რაც არასწორია. ამიტომ მოვუწოდებ — დამტვიდლებს, წყარიად, აუღელებელად, მეოთხეურად იმრძოლის ამ პრობლემის გადასაჭრელად. საერთოდ, ქართველებს გვახასიათებს სულიწრაფობა და ეს ნაკლი ხელისუფლებასაც ახასიათებს. მოუთმენლითა ახალგაზრდა ასაკიდან მოღისა და მაგრამ ცხოვრება მოთმინებას მოითხოვს.

— თუ შეგიძლიათ, გაკეთოთ პროგნოზი — როგორი იქნება 2005 წელი? თქვენ აზრით, შესწევს ხელისუფლებას იმის უნარი, რომ საკუთარი შეცდომები დაინახოს და გამოასწოროს?

— ზოგ შემთხვევაში, ნამდვილად გამოჩნდა, რომ შეცდომების დანახვა და გამოსწორება შეუძლიათ: მაგალითად, იმერიკისა არ მიიღო გუბერნატორობად დავით მუშავდა. ვერ გეტყვით, რამდენად სამართლიანი იყო ხალხი მის მიმართ, მაგრამ ფაქტია: ხელისუფლებამ მოქილობა გამოიჩინა და გუბერნატორი, რომელიც თავად დანიშნა, თავადვე შეცვალა. ასე რომ, ზოგჯერ ხელისუფლებასთან პონინირებას აზრი აქვს. ზოგიერთ შემთხვევებში, ხელისუფლება რეაგირებას ძალიან აგვიანებს. მაგალითად, უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეგელი, რომლის მოხსნას შარშანიანგარში შეეცადნენ, მხდლობრივი თვის შემდეგ გადაუაენენს თანამდებობიდან. ე.ი. საზოგადოების ხმა გვიან, მაგრამ მისწავლი იყოს.

ერთს. ასე რომ, მხოლოდ კრიტიკა ამ ხელისუფლების მიმართ მართებულად არ მიმჩნია. რაღაც ცვლილებები ნამდვილად ხდება. თუმცა, ჩვენ გვსურს, რომ ეს (ცვლილებების უფრო ხელშესახები) იყოს. ხელისუფლებამ ბევრი რამ დამთ, როცა, მაგალითად, პარლამენტმა ბიუჯეტის პროექტში არსებულ შეცდომებზე მოუთავა. პრეზიდენტი პარლამენტს გამოისახილა, ეს მაშინ, როცა ადრე, კატეგორიულად აცხადებდა, რომ ვერ აიტანდა პარლამენტისაგან ასეთ ტონს. პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ პარლამენტი ყოველთვის გააკრიტიკებს მთავრობას. პარლამენტის თავმჯდომარე კვეყნაში მეორე პირია. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. ე.ი. კრიტიკაში შედეგი გამოიღო. მაგრამ ზდება უმრავი რამ, რაც იმაზე მოუთითებს, რომ უფრო მეტი ყურადღებას საჭირო. მაგალითად, თბილის დრამატულ მდგომარეობაში იმუფება, მოუხდავად იმისა, რომ ახალგაზრდა ხელმძღვანელობა ყოველდღე გვაძარებს ანგარშის და გვარწმუნებს — ყველაფერი წესრიგშია... მე მთაწმინდაზე კვცხოვრობ. გაზი არა მაქვს, ქუჩა დანგრეულია. მერს პირადად გადავცირ ხელში წერილი, სადაც ირი სიტყვით ეწერა, თუ რა მოხდა ვეძნის ქახსზე. წამრობად ჩათვალი, თბილის და გაიცინა: სუმრობად ჩავალია სამასუბავოდ გვაძარების სახლისაბანას“ ვეთამშებორდი, ის კი — „მერიბანს“ მეთამაშებორდა... სერიოზული პრობლემაა, ამ „ბაგშევების“ პრობლემა: რეალურად, ხელისუფლების გახალგაზრდებების ის მოღელი, რომ 25-30 წლის ბიჭები ხელისუფლებიდან ერეკბორნენ 40-50 წლის ადამიანებს, არასწორი და ძალზე დამაფიქრებელია. როცა პროფესიონალები დასჭირდათ, მიხვდნენ, ასაკოვანი ხალხისთვის რომ უნდა მიემართოთ. სალომე ზურაბიშვილი კი გამოიყერება შესანიშნავად, მაგრამ ის 20 წლის გოგონა არ გახდავთ... ასე რომ, პროფესიონალების უნივერსიტეტის დაბლოდების დასახლებაზე მარტინი არ არის, ვისაც უცხოების უნივერსიტეტის დაბლოდები არ არის. ასე რომ, უნივერსიტეტი მარტინი არ არის, ვისაც უცხოების უნივერსიტეტის დაბლოდები არ არის. ჩემი ნამდვილები არიან ხელისუფლებაში. მათგან ვეღლაზე ნიშიერები და უკეთესები ცხოვრებას ყველაზე მეტად ჩამორჩნენ. შედარებით სუსტები კი, მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ. ეს ძალზე ნიშანდობლივა... დაბლოდა, უცილებლად უნდა აღვნიშო, რომ ახალი რეალობა საიმედოა. ქვეყნაში ცხოვრების დამხმარებელი გვიან, მაგრამ მისწავლი იყოს.

იმის გამო, რომ ახალ წელს 14 იანვარს ალექსი შნავთ, სა-დღესასწაულო ეიფორიიდან ჯერ ისევ ვერ გამოვსულვართ და საახალწლო გადაცემებსაც ისევ საიმოვნებით ვუყირებთ. ერთ-ერთი ყველაზე ნარმატებული საახალწლო ტელეპროექტი ის „პატრული“ გახლდათ, სადაც სამართალდამცველებად პოპულარული ადამიანები მოგვევლინენ. რა და რატომ დარჩა კადრს მიღმა და როგორ მიმდნარეობდა გადაცემები, ამაზე თავად დროებითი „პატრულები“ — ტელეურნალისტი ინჩა ჩრიბოლია და მომდერლები მაია დარსებილი და სტეფანი მლიჭიშვილი მოგვითხოვთ.

"ვიღებამ დაგვიძება - ჩქარა წარმოუნის, დაჭრილია!"

ანუ ის, რაც გადაცემაში არ მოხვდა

ნათია ქივიძე

— ინგა, პირველ რიგში მაინ-ტერესებს, ვიდრე პატრულის ფორმას მოირგებდი, მათზე რა აზრის იყავი და მათთან რაამე პრობლემები თუ გქონდა?

— მე ერთ-ერთი იმათვანი ვარ, ვისაც პატრულთან არაერთხელ პქნია პრობლემა. ჩემთვის მანქანაც ჩამოურთმევიათ და ერთმანეთთან შეხლა-შემოხლაც მოგვე-ვლია... მიუხედავად ამისა, პატრული ძალიან მომწონს. ისინი საყვარელი ად-ამიანები არიან. ვეიუდები მათ მანქანებზე. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი წამოწება აღმოჩნდა პატრულის სამ-სახურის შემოღება, რადგან ის ხალხში

წესრიგთან ასოცირდება. მეც კა, რომელ-იც ყოველთვის ძალიან დაუდევარი მძღოლი ვიყვავი, დღეს აბსოლუტურად ვაკინ-ტროლებს საკუთარ თავს. იმ პრობლემების შემდეგ, რაც პატრულთან შემექმნა, გამორიცხულია, რომ წითელ შექშე გა-ვიარო და არ გავაჩერო. ყოველთვის მობილიზებული ვარ... სხვათა შორის, პატრულში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, რომელთაგან ზოგიერთი ასლა, ჩემი პატრულობის დროს გავიცანი, ზოგი-ერთს კი ადრევე ვიცნიბდი, როცა ისინი ჯერ კიდევ პალიციელები იყვნენ. გამორიცხულია, ისინი დავინახო და მანქანა არ გავაჩერო. ლია პარკაულს როგორც კი დავინახავ, მანქანიდან ვხტები. რაც შეეხება იმ პრობლემებს, რომლებიც

პატრულთან გამჩენია — მათი ქუჩაში გამოსვლიდან მეორე თვესვე, მანქანა წამა-როვეს და საჯარიმოზე წაიყვანეს. მათ-თან არაფერმა გაჭრა, რა არ ვუთხარი, მაგრამ — უშედეგოდ მერე ჩემს ერთ, ძალიან ახლო მეგობარს, რომელიც ში-ნაგან საქმითა სამინისტროში მუშაობს, ვთხოვე — მანქანის გამოყვანაში დამტე-მარებელი. მართლაც, ერთ დღეს მომიყ-ვანებს ჩემი ავტომობილი და მცონა, რომ ეს ჩემი პოლიციელი მეგობრის ჩარევის შედეგად მოხდა. გარევეული პერიოდის შემდეგ, ამ მეგობარმა მითხრა — შენ ჩემი ვალი გაქვსო. გამიკვირდა — რა ვალი-მეტე? აბა, რა გეგონა, ჯარიმა გად-ამახდევინეს და მანქანა ისე გამოგიყვა-ნეო... ახლა პატრულს ვემორჩილები. ყველაზე მეტად მაზინ ბეურგელავს, სი-რენის ხმა რომ მეტის ხილმე. პატრუ-ლის ბრალია, ახლა ცოტა შელახული მანქანით რომ დავდივარ. უკანა ნომერი მიკრული არ მქონდა, მათ მაიძულეს, რომ მიმერა. მეორე დღესვე ჩემ უკან მიძა-ლი მანქანა დამეჯახა და დღემდე მი-ჭიჭყილი მანქანით დავდივარ.

— ახლა თქვენს პატრულობა-ზე მოგვიყვით.

— გურამ დღნამებმ რომ დამირეკა და მთხოვა, რომ ამ პროექტში მიმღლო მონაც-ილებისა, სიმოვნებით დავთანხმდი. რიცა გადაღება დავიწყეთ, ისე აქტივურად ჩავე-ბი ამ პროცესში, რომ გურამი მეზექწე-ბოდა — გვეყოფა, უკვე საკმარისი მასა-ლა გვაქვსო!.. მთელი დაბე ვიღებდით. მერე ყველას უკვირდა — როგორ ვერ გცნობდენო?!. ეს კი იმის შედეგი იყო, რომ ქუდი ჩამოვატული მქონდა და ხმას ვიცვლიდი. თან, ვინმეს რომ არ ვეცნე, გაჩერებისთანავე, პანიკურ სიტუა-





ბოლოს, ეკა ძალიან
გაბრამდა და ვეთხ-
არით, რომ სუმრობა
იყო. დღესაც არ
სჯერა, რომ მათი
გაჩერება
შემთხვევით
მოხდა

ცაის ვქმნიდი — „გავეშებული“ გადა-
ვხტებოდი მანქანიდან და მაშინვე ვყირ-
ილს ვიწყებდი: „თქვენ ნარკოტიკი
გაქვთ!“ — ან — „ეს მანქანა გატაცებუ-
ლია“ და ა.შ.

— დადგენილი სცენარით მო-
ქმედებდით თუ ყველაფერი
ექსპორტად ხდებოდა?

— ასოლუტურად ექსპორტად
ხდებოდა ყველაფერი. ერთი ძალიან
მაგარი სიტუაცია გადავიდეთ, რომელ-
იც გადაცემაში არ მოხვდა. პეგინზე
მივდიოდით. ჩვენ წინ ბიჭმა გოგონას
მანქანა გაუჩერა. ეს გოგო არ ჩაუჯდა
მანქანაში და მათი კამათი დიდხანს გრძელდებოდა. ის ბიჭი დაიძრა თუ
არა, მაშინვე ვანიშნე — მანქანა გადააყ-
ენებული. ვერევე „მივაჭრი“ და ვკითხე
— რა გნილოდა იმ გოგოსგან მეთქი? ძალიან
დაიბნა. აზრზე მოსვლა აღარ
ვაცალე და ვაუწყე, რომ ქალების გუაბა-
ტიურებაში იყო ეჭვმიტანილი. ვუთხ-
არი, ორი გოგოსა უკვე დაკარგულია
და მესამეს რასაც უპირებდი, ჩვენი
თვალით ვნახეთ-მეთქი. მოკლედ, საქმე
იქამდე მივიდა, რომ ის საშინელ პარიკა-
ში ჩავარდა, მე კი ხელბორკილი და-
ვადე და პატრულის მანქანაში ჩავსვი.
სალონში შუქი როგორც კი აინთო,
ჩემად ვუთხარი — ფულს თუ გადა-
მიხდი, გაგიშევებ-მეთქი, — და ამ დროს
მოვიდა აზრზე. გაოგნებულმა მეთხა —
ინგა გრიგოლია ხარო? სიცილი დავი-
წყე, იმინ კი უცებ იყვინა — ვენესტებით,
არ ჩაშვათ, ზურა ხაზიძის მმაკაცი ვარო!..
ეს რა შუაში იყო, ვერ მივხვდით. მერე
გვეხვეწა — ეს ბიჭი — მეორე ცოლი
ძლიერის მოვიყვანე და გეხვეწებით, ეს
კადრი არ ჩასვათ გადაცემაში, თორებ,
გამეყრება. მისა სახელი და გვარი
მასისოვს, მაგრამ არ ვატყევ... ერთ კაცს
ნარკომანიბას ვაბრალებდით და კინაღამ
გვცემა. ესცე ძალიან მაგარი კურიოზი
იყო. ჰავჭავაგეზე ეკა ბერიძის ავტომო-
ბილი დავინახე და გავაჩრებინეთ.
ამჯერად, თამანა მონაშვილი გადავიდა,
რადგან მე შეიძლება, ეკას ვეცნე. ეკა
ისე დაიბნა, რომ თამუნას უთხრა —
ქალბატონი, თქვენ ხომ არ გაგიყდი-
თო?! რაღაც მომენტში, ეკას ბავშვმა
მოიხდა და რომ დამინახა, ტუჩებთან
თითო მივიდე და ვანიშნე, ჩემად იყვი-
მეთქი. იმანც არ გამცა. ბოლოს, ეკა
ძალიან გაბრაზდა და ვუთხარით, რომ
სუმრობა იყო. დღესაც არ სჯერა, რომ
მათი გაჩერება შემთხვევით მოხდა.
ძალიან მინდოდა, რომ ბევრი პოპულარუ-
ლი ადამიანი გამოგვეჭირა, მაგრამ
სამწუხაროდ, მხოლოდ ეკა შეგვადა.

— ძალიან სერიოზული სახე
გქონდათ. ამდენ დაბნეულ ადამი-

ანს რომ უყურებდით, არ გეცინე- ბოდათ?

— ვიხრჩობდი, ისე მინდოდა ვა-
ცინება. მაგრამ მაქსიმალურად ვიგავბ-
დი თავს. ერთი ბიჭი ვითიომ ნარკო-
ტიკების გამო რომ დაკავეთ, საწყლი,
ისე დაიბნა, სერიოზულად შეტყოდა. უკვე
მინდოდა, რომ ვეცნე, მაგრამ ის აზრზე
ვერ მოვიდა. ამ კადრის ფურებისას, ჩემი
მეგობრის დედამთილს თვალზე ცრემ-
ლები მოსდგინია და ჩემზე გაბრაზბუ-
ლა. ამ ბიჭს ინგრეტი რომ მოსვლოდა,
სად მიდიოდა გრიგოლიაო?.. — უკითხ-
ავს. კურიოზი კიდევ ის იყო, რომ ასა-
კო ჩემზე დიდი მამაკაცების ნაწილი
დედას ურევავდა დასახმარებლად, ნაწ-
ილი კი — მამას.

— თქვენს თამაშს „უმსხვერ-
პლოდ“ მაინც არ ჩაუვლია: ვილაც
მამაკაცი ხომ დაგემუქრათ —
დაგბრიდავო!..

— 33 წლის ასაკში პირველად ვნახე, თუ რას ნიშანას ქალზე ძალადობა-მეთქი,
— ვმაყირობდი. მერე ამასთან დაკავ-
შირებით იმ კაცმა როცა აღმოაჩინა, რომ
ინგა გრიგოლია ვეფავი, მეცა და კოცა
დამიწყო. ოპერატორი და ნამდვილი
პატრულები გადაბერდნენ სიცილით, მე
კი საკამაოდ მიმიე მდგომარეობაში ჩავ-
გარდი, რადგან სხვებზე ვერთობოდი და
თავად აღმოგჩნდი გადადავებული. კივილი
დავწყე — ეს კაცი მომაშორეთ-მეთქი!
მოვრალი იყო და ამიტომ ვაპატიე, თორებ,
კინაღამ ბორკილები დავადე.

— თამუნა ამონაშვილი როგორი
მეწყვილე იყო?

— გადასარევი. თამანა ძალიან დე-
ლიკტური, გაწონასწორებული და
„სვეტსკი“ პატრული გახლდათ, მე უხ-
